ჩ-967

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო

უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

როენა ჩხარტიშვილი

# განპირობებულობის მიმართებათა გამომხატველი პროსოდიული მახასიათებლები ქართულ და ინგლისურ მეტყველებაში

10.02.06 – გერმანიკული და რომანული ფილოლოგია

სადისერტაციო მაცნე

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის

სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი

1994

ნაშრომი შესრულებულია თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის კათედრაზე.

მეცნიერ-კონსულტანტი — ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი ლ.გამსახურდია.

ოფიციალური ოპონენტები:

I. მადონა შელია, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი.

2. რუსუდან ტყემალაძე, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

დისერტაციის დაცვა შედგება 23.06.94 თბილისის ივ.ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საატესტაციო საბჭოს -10.02.Р.10-10 სხდომაზე

თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ. I, კორპ.I, აუდ.№

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია თსუ ბიბლიოთეკის სამეცნიერო დარბაზში.

" სადისერტაციო მაცნე" დაიგზავნა 23.05.94

სამეცნიერო-საატესტაციო საბჭოს სწავლული მდივანი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი — მ.რუსიეშვილი

-1482-

ენათა კონტრასტული შესწავლის თეორიული ამოცანაა დაადგინოს ზოგადი ენობრივი ტიპები და გამოამჟღავნოს მათი მრავალფეროვანი გამოვლენა შესადარებელ ენებში. ენათა შედარებითი ანალიზი გვიჩვენებს, რომ ორი არამონათესავე ენა ხშირად განსხვავდება ერთიმეორისაგან არა თვით ზოგადი ტიპების, არამედ მსგავსი ტიპების სხვადასხვანაირი გამოვლენით, ელემენტთა არათანაბარი განაწილებით, მათი განსხვავებული სიხშირით, გამოვლენის სიმძლავრით და ა.შ.

ენათა კონტრასტული შესწავლა შესაძლებლობას გვაძლევს უფრო ღრმად ჩავწვდეთ ენის ბუნებას, ზოგადი გავმიჯნოთ უნიკალურისაგან და, რაც მთავარია, ზოგადი ენობრივი ტიპის თავისებური გამოვლინება დავინახოთ. ცალკეულ ენებში კვლევის ასეთი პერსპექტივა საფუძველს ამზადებს ენობრივი კვლევის უფრო მაღალი საფეხურისათვის, ანუ უნივერსალური ტიპოლოგიისათვის.

ენათა შედარებისას ჩვენთვის ამოსავალი უნდა იყოს ის ზოგადი ტიპები, რომლებიც ენის მიდა სტრუქტურას ახასიათებს, კერძოდ, ფონოლოგიურ სისტემებს, მათი სეგმენტური და სუპრასეგმენტური დონეების ჩათვლით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ენების დაჯგუფება ამა თუ იმ ენობრივ დონეებზე არსებული საერთო თვისებების საფუძველზე ხდება, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, თითქოს ენის აგებულების თავისებურებათა ყოველგვარი თანხვედრა იძლევა საფუძველს მათი ტიპოლოგიურ დახასიათებისათვის. ცალკეული ელემენტების თანხვედრა ამა თუ იმ დონეზე ტიპოლოგიურად არ ახასიათებს მათ არსებით ნაწილებს და, მით უმეტეს, განსაზღვრულ დონეს მის მთლიანობაში. თითოეული ენობრივი დონე მრავალწახნაგოვანია. მისი ტიპოლოგიზაცია მოითხოვს ისეთ დამახასიათებელი ნიშნების გამოვლენას, რომლებიც საშუალებას მოგვცემენ განვსაზღვროთ მათი არსებითად მნიშვნელოვანი ნაწილები, მხარეები, კავშირები და კანონზომიერებები.

Библиотека
Тбилисского гос. педагогического института
иностранных языков
им. И. Чавчавадзе